საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №87
2020 წლის 27 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID - 19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 23 მარტის №81 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID - 19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 23 მარტის №81 ბრძანებაში (ვებგვერდი, 24/03/2020, სარეგისტრაციო კოდი: 120160030.22.033.017306) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი – მე-3 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID – 19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებით“ და საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით დადგენილი ვალდებულებების/შეზღუდვების შესრულებაზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, კონტროლს ახორციელებენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური.

მუხლი 2

1. „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID – 19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებით“ და საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით დადგენილი ვალდებულებების/შეზღუდვების აღსრულების კონტროლის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ ამავე სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას გამოყენებულ იქნეს „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებული წესის №31 დანართით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა.

2. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ხორციელდება „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ

ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებული წესის 82-ე მუხლით დადგენილი წესით, ამ ბრძანების მე-3 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 3

1. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მე-5 გრაფაში მიეთითება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

2. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის წერილობითი ფორმით შედგენის შემთხვევაში, ოქმი დგება 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან:

ა) ერთი – ბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელის მოწერით ოქმის ეგზემპლარის ჩაბარების შესახებ, ხოლო როცა სამართალდამრღვევი არ ესწრება ოქმის შედგენას – ოქმი გაიგზავნება ოქმის შემდგენისათვის ცნობილ მისამართზე, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის – გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (თუ სამართალდამრღვევი გადასახადის გადამხდელია) და ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე. თუ ადრესატისათვის მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა, ოქმი განმეორებით იგზავნება მისი შემდგენისათვის ცნობილ მისამართზე. გზავნილის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ოქმი საჯაროდ გავრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით და ჩაბარებულად ითვლება განთავსებიდან მე-20 დღეს;

ბ) მეორე – რჩება ოქმის შემდგენელთან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 23 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**